

09/12/2025



MES 0 25 0001753660

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 25.11.2025

სხდომის დაწყების დრო: 14:07 სთ.

სხდომის დასრულების დრო: 19:14 სთ.

სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი

საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (I)

სხდომის მდივანი: ქეთევან ნანობაშვილი (II, III)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ვლადიმერ ადუიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

5. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
6. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
7. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
8. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
9. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
10. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
11. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ირინა ლობჯინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
13. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:

1. **ზაზა რუხაძე** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში;
2. **ქეთევან ჯინჭარაძე** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. **ანასტასია ბაჯიაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი, პროფესორი, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგიის“ და „კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

4. ნინო ლოლაშვილი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში, პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერების“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;
5. მალხაზ ნიკოლაშვილი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის ასოცირებული პროფესორი, „ინფორმატიკის,“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. სოფიკო გოგოლაძე - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის პროფესორი, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. მაია სალთხუციშვილი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
8. ბესიკი ტაბატაძე - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
9. აკაკი შეყელაძე - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის „კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

1. მურთაზ დევაძე - საზღვაო ოპერაციები (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი;
2. ლიკა ქათამაძე მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის უფროსი;
3. რომან მამულაძე - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
4. ნატალია ჯიჯავაძე - ნავიგაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. მზია დიასამიძე - საზღვაო ნავიგაცია (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი;
6. ავთანდილ გეგენავა - საზღვაო ნავიგაცია (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / პროფესორი;
7. გივი ციციშვილი - საზღვაო ნავიგაცია (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / A კატეგორიის პროფესორი
8. ირაკლი შაქარიშვილი - საზღვაო ნავიგაცია (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; / მორეული ნაოსნობის კაპიტნის უფროსი თანაშემწე;
9. ლუიზა სიხარულიძე - საზღვაო ოპერაციები (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ასოცირებული პროფესორი;
10. გულად თხილაიშვილი - სასწავლო სამეცნიერო ცენტრის უფროსი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:

- 1 მამუკა თავხელიძე - რექტორი;
- 2 ანა თევეტაშვილი - სტომატოლოგიის სკოლის დეკანი;
- 3 ნინო წილოსანი - დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი;
- 4 გიგა თვაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

აკრედიტაციის ექსპერტები:

- სეიფედინ კადრი - Seifedine Kadry; (I საკითხი)
- ნანი არაბული; (I საკითხი)
- მიხეილ რუხაია ; (I საკითხი)
- მაგდა ცინცაძე ; (I საკითხი)
- ილია ბოცვაძე; (I საკითხი)
- თამარ თხელიძე; (I საკითხი)
- იანუშ ურიაში (Janusz Uriasz) (II საკითხი)
- ნინო გორგოშაძე (II საკითხი)
- თამთა ცხოვრებაძე (II საკითხი)
- ტატო ლაფაური (II საკითხი).
- პოუიან ამინაშაკიბი (Pouyan Aminishakib) (III საკითხი)
- ელენე გიგინეიშვილი (III საკითხი)
- თინათინ გაბრიჩიძე (III საკითხი)
- გიორგი გაბოშვილი (III საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა - ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო, "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი და "საზღაო ოპერაციების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3.შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო, "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი და "საზღაო ოპერაციების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ აკრედიტაციაზე სულ შვიდი პროგრამა იყო წარდგენილი. პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით ექსპერტთა გუნდის რეკომენდაციები შემდეგნაირია: რეკომენდებულია, გადამუშავდეს პროგრამის მიზნები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ნაცვლად მეტი აქცენტი გაკეთდეს სტრატეგიულ მიზნებზე; რეკომენდებულია, თითოეული პროგრამის მიზანი პირდაპირ იყოს დაკავშირებული დარგობრივ ან საზოგადოებრივ საჭიროებებთან; ასევე, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შექმნას და შეინარჩუნოს მკაფიო დოკუმენტაცია, რომელიც შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს აკავშირებს პროგრამისა და მიზნების ცვლილებებთან, რათა უზრუნველყოს

მტკიცებულებებზე დაფუძნებული უწყვეტი გაუმჯობესება და შესაბამისობა ბაზრის საჭიროებებთან. მაგალითად, ინფორმატიკის პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია, გადამუშავდეს მიზნები, რადგან ისინი ჩამოყალიბებულია როგორც "ასწავლოს სტუდენტს.." და "განუვითაროს უნარი..", რაც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებას. გარდა ამისა, მკაფიოდ არ არის აღნიშნული საზოგადოებრივი ჩართულობა. 1.2 პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით იყო შემდეგი რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ბუნდოვანი ზმნები როგორიცაა "აცნობიერებს", "იცნობს" და "ფლობს ცოდნას" ჩანაცვლდეს ბლუმის ტაქსონომიის დაკვირვებადი, მოქმედებაზე ორიენტირებული ზმნებით, მაგალითად, შეიმუშავებს, იყენებს, აფასებს. 1.3 ქვეპუნქტში, რომელიც არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც მოიცავს: კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან; თითოეული სწავლის შედეგისთვის კონკრეტული შეფასების დავალებების გამოვლენას (მაგალითად, პროექტი, დავალება, პრეზენტაცია); რუბრიკების გამოყენებას შესრულების კრიტერიუმებით და განსაზღვრული მიღწევის ზღვრებით. სწავლის შედეგების შეფასებისთვის მაღალი დონის სავალდებულო კურსების გამოყენება, რათა შეფასებების საშუალებით შესაძლებელი იყოს იმ კომპეტენციების ასახვა. 1.4 ქვეპუნქტთან მიმართებით რეკომენდებულია, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში თანმიმდევრული პროგრესის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს და განხორციელდეს წინაპირობების სტრუქტურა, მაგალითად, ალბათობა / სტატისტიკა მონაცემთა მეცნიერებამდე და ა.შ. ასევე, რეკომენდებულია, შინაარსის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით და სიღრმის გასაძლიერებლად გაერთიანდეს პროგრამირების, ალგორითმების, მონაცემთა ბაზების და ვებ - ტექნოლოგიების კურსები. ამასთან, რეკომენდებულია, სწავლების ადრეულ ეტაპზე დაინერგოს კვლევის მოსამზადებელი კურსები, მაგალითად, კვლევის მეთოდები, და განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში სწავლების ადრეულ ეტაპზე ჩაშენდეს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის კომპონენტები. რაც შეეხება 1.5 ქვეპუნქტს, აქ გაიცა სხვადასხვა რეკომენდაციები. რეკომენდაცია იყო, რომ შემუშავებულიყო კურსის შეფასების რუბრიკების ცხრილები იმისათვის, რომ გაიზომოს თითოეული სწავლის შედეგი. ასევე, რეკომენდებულია, რომ დაკონკრეტებულ იქნას პროექტების, გამოცდებისა და ლაბორატორიული დავალებების კრიტერიუმები გამჭირველობისა და თანმიმდევრულობის გასაძლიერებლად. ამავე რეკომენდაციის ქვეპუნქტში რეკომენდებულია, უნარებზე დაფუძნებულ შედეგებთან უკეთესი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს პრაქტიკული / ლაბორატორიული საათები გამოყენებით კურსებში. ასევე, რეკომენდებულია, გადაიხედოს კრედიტების განაწილება და დაიხვეწოს პროგრამის დოკუმენტაცია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ინგლისური ენის ცოდნა განისაზღვროს როგორც პროგრამაზე დაშვების უცხო ენის წინაპირობა. ასევე, პროგრამა 4-ში, რომელიც ეხება ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტს, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცესის სამართლიანობისა და სტუდენტების მიერ პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის დაწესდეს მათემატიკის მინიმალური ცოდნის მოთხოვნა. ხოლო მე-5, მე-6 და მე-7 (ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგია, ინგლისურენოვანი, სამაგისტრო; კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, სამაგისტრო; კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო) პროგრამებისთვის რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი აპლიკანტებისთვის დააწესოს სპეციალობის მისაღები გამოცდა და მკაცრად უზრუნველყოს მისი სათანადო განხორციელება. ხოლო პროგრამები "ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგია" და "კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება" ხორციელდება ინგლისურ ენაზე და იღებს უცხოელ სტუდენტებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც გავრცელდება საერთაშორისო აპლიკანტებზე. 2.2 ქვეპუნქტში

გაცემულია ერთი კლასტერული რეკომენდაცია, რომელშიც რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მემორანდუმებში და / ან მათ დანართებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი, შედეგი და ხანგრძლივობა. პროგრამი 1, 2, 3, 4 (ინფორმატიკა, საბაკალავრო; კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, საბაკალავრო; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო) რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომებში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობა, რაც მხარდაჭერილი იქნება კარგად სტრუქტურირებული მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავებით. 2.4 ქვეპუნქტშიც გაიცა ერთი კლასტერული რეკომენდაცია. იმისათვის რომ აღმოიფხვრას მცირე ხარვეზები საჭიროა, გადაიხედოს სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა კრიტერიუმი სრულად აისახოს შეფასების დეტალებში, შეფასების პროცესის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ შეფასების მეთოდების სწორ აღქმას და შეფასების სანდოობას. კლასტერული რეკომენდაციები გაიცა 3.2 ქვეპუნქტშიც, სადაც რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და ოფიციალურად განსაზღვროს სამეცნიერო ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების შერჩევის / შეცვლის დეტალური პროცედურები, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამის დოკუმენტში. ასევე, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და ოფიციალურად დაამტკიცოს სამეცნიერო ხელმძღვანელების და სტუდენტების თანაფარდობის განსაზღვრის დეტალური მეთოდოლოგია, რომელიც მკაფიოდ და სრულად იქნება წარმოდგენილი შესაბამის დოკუმენტში. 4.1 კომპონენტში რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამებში გაიზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა. შემდეგი რეკომენდაცია ეხება 4.3 კომპონენტს, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სადაც რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წახალისოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში და გამოაქვეყნონ სტატიები და ასევე რეკომენდებულია, მიზნობრივი ტრენინგების განხორციელებით, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოწვეული პერსონალის პედაგოგიური და კვლევითი კომპეტენციების განვითარება. 4.4 კომპონენტში გაიცა რამდენიმე კლასტერული რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ყველა საგანმანათლებლო მასალის დროული განთავსება და ხელმისაწვდომობა. ასევე რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დროულად უზრუნველყოს ინგლისურენოვანი LMS - ის ხელმისაწვდომობა. ასევე, საჭიროა გაიზარდოს სტუდენტებისთვის აუცილებელი რესურსებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეების რაოდენობა და უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კომპიუტერების განახლების გეგმა და ბიუჯეტში განსაზღვროს საჭირო თანხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზართან მიმართებით გაცემულია რეკომენდაცია, სადაც მითითებულია, რომ ნახევარ წელში ერთხელ უნდა მოხდეს ბაზრის კვლევა, თუმცა ამ სტანდარტის შესრულების ვადა შეადგენს საშუალოდ 12-დან 18 თვეს, დაწესებულებას კი ბაზრის კვლევა ჩატარებული აქვს 5 თვის უკან, რაც გულისხმობს იმას, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან არის ახლოს. იმ პროგრამებთან, რომლებიც უკავშირდება მოკლე ეკონომიკურ ციკლებს, მაგალითად ტურიზმი, გამართლებულია აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეხებოდეს პროფესიულ სტანდარტს. შესაბამისად დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას. ასევე, პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბუნდოვანი ზმნები უნდა ჩანაცვლდეს, თუმცა საერთაშორისო სტანდარტით არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს აქტიური ზმნებით მიზნების ასახვა. ეს აკრძალვა არ არის არცერთ ევროპის უნივერსიტეტში. ეს რეკომენდაცია გამომდინარეობს ბლუმის ტაქსონომიიდან, თუმცა ის არ არის სავალდებულო. ზაზა რუხაძემ

აღნიშნა, რომ პრობლემა იყო მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. დასკვნაში მითითებულია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის მიზნები ზოგადად კარგად არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ეფუძნება ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო გეგმების შედარებით ანალიზს. მიზნებში განხილულია შრომის ბაზრის აქტუალობა, საზოგადოებრივი წვლილი და ინტერნაციონალიზაცია. თუმცა, ზოგიერთი მიზანი ჩამოყალიბებულია როგორც სწავლის შედეგი, ვიდრე ფართო სტრატეგიული მიზანი. შესაბამისად, უნდა გაძლიერდეს გაზომვადი სამიზნე ნიშნულები, მონიტორინგის მექანიზმები და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ხარისხის განვითარების სახელმძღვანელოში წერია, რომ რეკომენდაცია შეიძლება არსებობდეს, თუმცა ის არცერთ შემთხვევაში არ უნდა უკავშირდებოდეს მოთხოვნას. ამასთან, თუ ექსპერტების მიერ აღიარებულია შესაბამისობა, მაშინ რეკომენდაციად არ უნდა იყოს მოცემული საკითხი, უნდა იყოს რჩევაში. ამასთან ერთ-ერთ რეკომენდაციას უწერია ექსპერტთა აზრი თუ როგორ უნდა იყოს აღნიშნული საკითხი, რაც არ არის მიღებული. ეს არის უფლებამოსილების გადამეტება.

ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ მიზნებთან და შედეგებთან გამოყენებული ზმნები არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას, რადგან დასკვნაში არსად არ წერია, რომ რაიმე დარგობრივ მახასიათებელს არ შეესაბამება. მიზნისა და შედეგის რუქებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურის მოთხოვნაა, რომ ყველა პროგრამას ახლდეს მიზნის და შედეგის რუქა ამიტომ უსაფუძვლოა აღნიშნული რეკომენდაცია. დაწესებულებას აქვს მატრიცა, სადაც დეტალურად არის აღწერილი თუ რა შედეგზე გადის კონკრეტული კურსი, თუმცა ექსპერტების მხრიდან ამის მოთხოვნა არ ყოფილა და დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტაცია არ წარუდგენია. ამის ფონზე რეკომენდაცია მაინც გაიწერა. ასევე, რეკომენდაციებში მითითებულია, რომ დონეების მიხედვით უნდა გაიწეროს სწავლის შედეგებზე გასვლის მატრიცა. თუმცა, თითოეულ სასწავლო პროგრამას აქვს მატრიცა თუ რომელი სასწავლო კურსი გადის სწავლის შედეგზე დონეების მიხედვით. ექსპერტებმა ეს ნახეს 5 პროგრამასთან, თუმცა 2 პროგრამასთან არ არის ნახები. ასევე, ხაზი გაესვა ბუნდოვან ზმნებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, თუ „აღწერს“ არ არის ბუნდოვანი ზმნა მაშინ არც „იცნობს“ და „იცის“ არ უნდა იყოს ბუნდოვანი. რაც შეეხება შედეგის გაზომვის მექანიზმს, სწავლის შედეგის შეფასების დოკუმენტი იკითხება სილაბუსთან ერთად. უნივერსიტეტს სილაბუსიდან არ აქვს გადატანილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში, მაგალითად, კონკრეტული შედეგი რა შეფასების მეთოდით იზომება, რადგან იმ სასწავლო კურსში, რომლითაც იზომება, არის შესაბამისი სწავლის მეთოდი, რითიც შედეგს უნდა მიაღწიოს და არის შესაბამისი შეფასების მეთოდი. სწორედ ამიტომ სილაბუსთან ერთად იკითხება, თუმცა თუ არის საჭირო ცალკე გრაფის ჩამატება დაწესებულება მზადაა გაითვალისწინოს აღნიშნული. ასევე რეკომენდირებულია, რომ თითოეულ სასწავლო კურსს გაუკეთდეს მატრიცა თუ რომელი სწავლის მეთოდი არის გამოყენებული და რომელი შეფასების მეთოდს იყენებს დაწესებულება. ეს ნაწილი შეტანილი ჰქონდა უნივერსიტეტს თავდაპირველ დოკუმენტაციაში, თუმცა შემდეგ ამოიშალა, რადგან ეს გარკვეულწილად არის აკადემიური თავისუფლების ნაწილი. დაწესებულება რეკომენდაციას მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტები დააფიქსირებდნენ ხარვეზს რომ რომელიღაც კურსი ვერ გადის სწავლის შედეგზე, თუმცა მსგავსი არ დაფიქსირებულა.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ არეულია სტანდარტთან შესაბამისობის ექსპერტიზა, თვისობრივ-შინაარსობრივი ექსპერტიზა ადმინისტრაციულ საქმიანობასთან. ამას მსოფლიოს უნივერსიტეტების 90% აღარ იყენებს, რადგან ეს არის ადმინისტრაციული მექანიზმი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს მოთხოვნასთან.

ანასტასია ბაჯიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან მიმართებით შეფასების ნაწილში დასკვნაში მითითებულია პროცესის გამჭვირვალობის შესახებ, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან შეხვედრის დროს არანაირი პრობლემა არ დაფიქსირებულა. ამ დროს კი დასტურდება აღნიშნული რეკომენდაცია, რომელიც არა თუ ევროპის, არამედ არც

საქართველოს უნივერსიტეტებში არ დასტურდება მსგავსი. რეკომენდაციები რომ იყოს განმავითარებელი, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები არის ფორმულირების სხვადასხვა ინტერპრეტაცია, რომელიც არ ცვლის შინაარსს და არის გემოვნების საკითხი.

ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო რეგულაციებში ჩაბარების საგნებთან ზუსტად არის განსაზღვრული რომელ სპეციალობაზე რა საგანი ბარდება, ამიტომ პროგრამაში ამის ჩამატება რჩევა უფროა, ვიდრე რეკომენდაცია, თუმცა თუ ეს რეკომენდაციად დარჩება დაწესებულება მზადაა გაითვალისწინოს. ასევე, „კომპიუტერული მეცნიერების“ პროგრამაზე არის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც უნდა იყოს განსაზღვრული მათემატიკის მინიმალური დონის მოთხოვნა. ამის მიხედვით ექვეყნებ დგება ეროვნული გამოცდების შედეგები.

ანასტასია ბაჯიაშვილმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ პროგრამებთან მიმართებით ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა მიზნებისა და შედეგების ფორმულირების საკითხებს, რაც გემოვნების საკითხია. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა აკადემიურ პერსონალს აქვს დოქტორის ხარისხი, ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარდგენილი იყო, თუმცა მისი უგულებელყოფა მოხდა. ხაზი გაესვა იმას, რომ წარმოდგენილი პედაგოგები არიან დარგის წამყვანი პრაქტიკოსები, რომლებიც წამყვან უნივერსიტეტებში წამყვან პოზიციებზე მუშაობენ და მათ აქვთ როგორც პრაქტიკული, ისე აკადემიური გამოცდილება. ასევე, დასკვნაში მითითებულია, რომ ყველა სილაბუსში უნდა მოხდეს საათების გადანაწილება ლაბორატორიულ და პრაქტიკულ ნაწილთან მიმართებით. ეს რეკომენდაციაც არის გაუგებარი, რადგან თუ რომელიმე საათთან იყო პრეტენზია უნდა დაკონკრეტებულიყო და გაითვალისწინებდა დაწესებულება. ზოგადად ყველა პროგრამაზე პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ხდება საათების გადანაწილება, შესაბამისად ყველა საათი, რომელიც არის გაწერილი არის დეტალურად გაანალიზებული და შედეგზე ორიენტირებული.

ნინო ლოლაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან მითითებული იყო რეკომენდაცია პრაქტიკული საათების გაზრდის შესახებ. პრაქტიკულ საგნებში 2 სთ დათმობილი აქვს პრაქტიკულ მეცადინეობას და 1 - თეორიას. ეს გაწერილია სილაბუსებში და წარმოდგენილიც იყო.

ანასტასია ბაჯიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ერთ-ერთ კურსთან მიმართებით არის შინაარსობრივი ჩაშლა თუ რა თანმიმდევრობითა და ლოგიკით უნდა წასულიყო სასწავლო პროცესი. რეკომენდაციები, რომლებიც მითითებულია ამასთან დაკავშირებით ცალსახად მიუთითებს, რომ ექსპერტებს არ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, რაც დაწესებულებისთვის მიუღებელია, რადგან არის საგნობრივი დატვირთვა და რეკომენდაცია, ფაქტობრივად, გულისხმობს ამ ოთხი სხვადასხვა საგნის გაერთიანებას ერთ მიზანსა და კურსში. ეს წარმოუდგენელია არა მარტო საქართველოს ბაზაზე, არამედ საერთაშორისოზეც კი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 4 საგნის გაერთიანება სიღრმის გაძლიერების თვალსაზრისით გაუგებარია, რადგან თუ გაერთიანდება საგნები, ლოგიკურია, რომ ის სიღრმისეულად ვერ გაძლიერდება. ამასთან საბაკალავრო პროგრამები ამ მიმართულებებს ცალ-ცალკე მწყობრად მიჰყვება. ასევე, ზოგიერთი რეკომენდაცია არის ზედაპირულად გაწერილი, მაგალითად ვებ-ტექნოლოგიებში ფრაგმენტაციას. ეს პროგრამა იწყება „ვებ-ტექნოლოგიების შესავლის“ კურსით, რომელსაც აქვს 4 კრედიტი, შემდეგ სემესტრში გრძელდება ვებ - პროგრამირება ჯავასკრიპტით, რომელიც ბუნებრივი გაგრძელებაა ამ ტექნოლოგიების. იმავე სემესტრში არის jQuery, იმისათვის რომ სტუდენტებისთვის გასაგები იყოს რას გულისხმობს ბიბლიოთეკებთან მუშაობა. ხოლო ამის შემდეგ არი პროგრამის სერვერის პროგრამირება PHP MySQL სადაც დაკონკრეტებულია, რომ სტუდენტებს აქვთ შეხება ვებპროგრამირებასთან სერვერის მხარეზე, რომელშიც გამოყენებულია წინა სემესტრში ნასწავლი მასალა. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი საკმარისია შესაბამისი ცოდნის მისაღებად და პრაქტიკული უნარების გასათავისებლად. ამასთან, დაწესებულებას ვებ - ტექნოლოგიების მიმართულებით აქვს დამატებით შეთავაზებული front-end framework-ები:

angular და react, ასევე back-end framework-ები: laraveli - ტექნოლოგიები და ა.შ. თითოეული პროგრამა საფეხურივით მიჰყვება სემესტრებს მარტივიდან გაღრმავებულისკენ. შესაბამისად, დაწესებულებას სურს დააკონკრეტოს ექსპერტთა გუნდმა სად არის ფრაგმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღინიშნა, ისიც რომ ექსპერტთა მხრიდან გაიცა ღირებული რეკომენდაციებიც, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა. ასევე ყურადღება გამახვილდა კრედიტებისა და საათების გადანაწილებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე. დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია მოკლებულია საფუძველს, რადგან ამის მტკიცებულება და არგუმენტი არ აქვს წარმოდგენილი ექსპერტთა გუნდს.

ანასტასია ბაჯიაშვილმა პრაქტიკულ და კვლევით უნარებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ყველა პროგრამაში, რომელიც წარმოდგენილია უნივერსიტეტში, კვლევითი პროგრამების განვითარება თუ სამაგისტრო დონეზეა ცალკე, დამოუკიდებელ პროგრამად არის წარმოდგენილი. ბაკალავრის შემთხვევაში ეს ყველაფერი არის „აკადემიური წერის“ სილაბუსში და უკვე გათვალისწინებულია. შესაბამისად, სილაბუსები რომ ყოფილიყო საფუძვლიანად შესწავლილი აღნიშნული რეკომენდაცია არ იქნებოდა. ასევე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს რაოდენობები. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ მემორანდუმი არის ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს ორ ინსტიტუციასთან ზოგად შეთანხმებას თანამშრომლობისთვის. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობები და პრაქტიკის ვადები უკვე გაწერილია დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოდგენილი იყო მასალებში და ბუნდოვანია, რატომ იყო ეს გაურკვეველი ექსპერტთა ჯგუფისთვის. რაც შეეხება სამაგისტრო ხელმძღვანელობას, უნივერსიტეტის აკრედიტაციის ექსპერტებთან ბევრჯერ იყო გაჟღერებული, რომ დაწესებულება ორიენტირებულია ხარისხზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული პროგრამა იღებს სტუდენტთა ერთ ჯგუფს და აქცენტირებას აკეთებს მასზე, სადაც საშუალოდ ჯგუფში მხოლოდ 22 სტუდენტია ბაკალავრის საფეხურზე, ხოლო მაგისტრატურის შემთხვევაში მაქსიმუმ - 15, ამიტომ დაწესებულებას არ სჭირდება იმის განსაზღვრა რამდენმა აკადემიურმა პერსონალმა რამდენი მაგისტრი შეიძლება აიყვანოს და უხელმძღვანელოს. თუმცა ამავე დროს ექსპერტებთან წარმოდგენილი იყო შიდა სკოლის დოკუმენტი, სადაც პირდაპირ მითითებული იყო რამდენ მაგისტრზე რამდენი ხელმძღვანელი იყო გათვლილი. მიღების წინაპირობებთან მიმართებით აღინიშნა, რომ დაწესებულება მიჰყვება სამინისტროს მიერ დადგენილ წესებს, ამასთან განსაზღვრულია სპეციალობის გამოცდაც და დამატებით გაუგებარია რა გამოცდა უნდა ჩატარდეს.

სოფიკო გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური პროგრამებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებში, რომლებიც ეხება მიზნებსა და შედეგებს არის პატარა კითხვის ნიშნები. მაგალითად აღნიშნულია, რომ მიზანთან მიმართებით არ ჩანს საზოგადოებრივი წვლილი და გაზომვადი ამბიცია, რასაც ვერ ეთანხმება დაწესებულება, რადგან მიზნები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტებსა და შრომის ბაზარს. მიზნებში სრულად არის გათვალისწინებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის დაპროექტებისა და ინტეგრაციის პრინციპების ცოდნა; მაღალი პასუხისმგებლობა და ეთიკური ქცევა; სტუდენტის კონკურენტუნარიანობა, რომ მულტიდისციპლინურ გარემოში მიიღოს სტრატეგიული ტექნოლოგიების გადაწყვეტილების შემუშავების შესაძლებლობა და შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო და აკადემიურ ბაზარზე. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს ასახავს საზოგადოებრივ წვლილს და გაზომვად ამბიციას, ამიტომ მათი აზრით, ეს ფორმულირება საჭირო არ იყო. შედეგებთან დაკავშირებით როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი პროგრამის დასკვნაში მოცემული იყო იგივე შინაარსის დებულება სხვა სიტყვებით. ამიტომ რადგანაც მხოლოდ ფორმა იცვლება და არა შინაარსი რეკომენდაციის სახით არ უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემული საკითხი. ასევე, მესამე შედეგთან მიმართებით, სადაც არის კომპლექსური შედეგი და რომელიც აერთიანებს სანდოობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ უნარებს. ეს გულისხმობს, რომ

ტექნოლოგიის გადაწყვეტის მიღებიდან აღსრულებამდე სრული სასიცოცხლო ციკლი დაასრულოს და შეიკრას ეს პროცესი. შესაბამისად, ამის დაყოფა გამოიწვევს შინაარსობრივ გახლეჩვას და მიზნისკენ მისვლა შეფერხდება.

ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში არის ფაქტობრივი უზუსტობა, რადგან არცერთი აკადემიური პერსონალი არ არის დოქტორანტის ხარისხის გარეშე.

მიხეილ რუხაიხამ 4 კურსის გაერთიანებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია გულისხმობდა აღნიშნულ 4 კურსში გარკვეულ თემატიკურ თანხვედრებს და საუბარი იყო იმაზე, რომ მოხდეს თემების კონსოლიდირება და უფრო სიღრმისეულად ისწავლონ სხვა თემატიკა და არა რამდენიმე კურსში ისწავლონ ერთიდაიგივე თემატიკა.

ნანა არაბულმა აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობაში წერია ინტერვიუ ან გამოცდა. სტუდენტებთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ მათ მხოლოდ გასაუბრება ჩატარდათ იმის შესახებ თუ რამდენად შეძლებდნენ ამ პროგრამაზე ყოფნას. ამასთან, საერთოდ სხვა პროგრამიდან იყვნენ.

ანასტასია ბაჯიაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს, რომლებსაც ექსპერტები გაესაუბრნენ იყვნენ სხვა პროგრამიდან და ხაზი გაუსვა, რომ მიმდინარე პროგრამებთან შეცვლილია შეფასების კრიტერიუმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე, როდესაც მაგისტრატურის პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა, მაშინ მითითებული იყო, რომ ინტერვიუს შედეგად იღებდნენ სტუდენტებს, თუმცა მაშინ დაკონკრეტებული არ იყო რა ინტერვიუს საფუძველზე ხდებოდა, თუმცა პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა. ამის შემდეგ ორჯერ მოხდა ცვლილება ამასთან დაკავშირებით და ჩატარდა არა მხოლოდ ინტერვიუ, არამედ გამოცდაც, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც არსებობს. ამის შემდეგ, ბოლო 2 წელია ტარდება როგორც გამოცდა, ისე ინტერვიუ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს საკმაოდ კარგად და დეტალურად აქვთ გაწერილი რეკომენდაციები. თუმცა შესაძლოა რეკომენდაციის ბუნდოვანებამ გამოიწვია უთანხმოება, მაგალითად, 1.4 ქვეპუნქტში რეკომენდებულია, შინაარსის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით და სიღრმის გასაძლიერებლად გაერთიანდეს პროგრამირების, ალგორითმების, მონაცემთა ბაზების და ვებ - ტექნოლოგიების კურსები. რომელშიც იგულისხმება ის, რომ არა გაერთიანდეს ეს საგნები, არამედ ამ საგნების ერთობლიობაში მოხდეს ოპტიმიზაცია. ამიტომ, ეს რეკომენდაცია სასარგებლოა, რადგან მოხდება დროის სწორი გადანაწილება და ინფორმაციის განმეორების თავიდან აცილება. ასევე, რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში სწავლების ადრეულ ეტაპზე ჩაშენდეს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის კომპონენტები, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა მეცნიერების პროგრამებში. აღნიშნულ რეკომენდაციაშიც არის ბუნდოვანება, რომელიც შესაძლოა ტექნიკური ხარვეზისგან იყოს გამოწვეულ, ამიტომ ეს საკითხი საჭიროებს ექსპერტთა მხრიდან კონკრეტიკას. ასევე დასაზუსტებელია რეკომენდაცია, სადაც რეკომენდებულია თითოეულ კურსზე განისაზღვროს I/D/M დონეები (გაცნობა/გაღრმავება/განმტკიცება) და აღსრულდეს წინაპირობების თანმიმდევრული ჯაჭვი, რათა სწავლის შედეგებთან მიმართებით შესაბამისი წესრიგით იყოს უზრუნველყოფილი გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. ამასთან, დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ ეს კითხვები და რეკომენდაციები გამოწვეულია იქიდან, რომ არ არის წინაპირობები მითითებული პროგრამებში.

სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან იყო კომენტარი, რომ რეკომენდაციებიდან გამომდინარე ექსპერტთა გუნდი არ იყო კომპეტენტური დარგში, თუმცა ამისთვის მათ შეუძლიათ გადაამოწმონ მონაწილე ექსპერტების სივები.

მაქსიმ იავიჩმა საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით ექსპერტთა გუნდს მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა საიდან განისაზღვრა ეს რეკომენდაცია და ასევე, ექსპერტების პოზიცია დოქტორის ხარისხის არმქონე პერსონალთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულება აღნიშნავს, რომ ყველა აკადემიურ პერსონალს აქვს დოქტორის ხარისხი.

მიხეილ რუხაიამ საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტებთან გასაუბრებისას ითქვა, რომ მათ უფრო მეტი დატვირთვა ეძლევათ, ვიდრე გათვალისწინებულია. რეკომენდაციები კრედიტებთან დაკავშირებით სწორედ ამას ეხება, რომ იქნებ, გადაიხედოს დატვირთვები თუ რამდენად შეესაბამება იმ საკონტაქტო საათებს, რაც არის სილაბუსით განსაზღვრული. რაც შეეხება დოქტორის ხარისხს, ცენტრის მიერ შემუშავებულ ცხრილში ცალსახად მითითებულია, რომ ეს დოქტორის ხარისხი უნდა იყოს დარგში და აღნიშნული მონაცემებით ექსპერტთა გუნდი მიიჩნევს, რომ 7 პროგრამის განსახორციელებლად არ არის საკმარისი ის რაოდენობა პერსონალისა, რაც არის დაწესებულებაში.

ქეთევან ნანობაშვილმა შრომის ბაზართან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა თუ რატომ გახდა ამ რეკომენდაციის ჩამოყალიბება საჭირო და რატომ უნდა მოხდეს ბაზრის კვლევა 6 თვეში ერთხელ. ასევე, რეკომენდებულია, შემუშავდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებლის და პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შესაბამისობის ცხრილი, შესაბამისობის მტკიცებულების უზრუნველსაყოფად. პროგრამაში ჩართული ადამიანები მსგავს სამუშაო დოკუმენტს აკეთებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს დარგობრივ სტანდარტთან მიმართება და ქეთევან ნანობაშვილს აინტერესებდა თუ რატომ მოხდა მსგავსი რეკომენდაციის ჩამოყალიბება.

ნანა არაბულმა აღნიშნა, რომ დასკვნის ქართულ ვარიანტში არის ბევრი ტექნიკური ხარვეზი. მიუხედავად იმისა, რომ წერის დროს ქართულადაც იყო მითითებული გაზომვადი ზმნები, საბოლოოდ სხვა სახით იყო წარმოდგენილი დასკვნის ქართულ თარგმანში.

